



მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობაში

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო:
შესაძლებლობები და პრაქტიკა

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
თბილისი, 2019

პუბლიკაცია მომზადდა ევროპის ფონდის მხარდაჭერით, შვედეთის საერთა-შორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. პუბლიკაციაში გამოთქმული ყველა მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ევროპის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

This publication has been financed by Europe Foundation (EPF) through grant provided by the Swedish International Development Cooperation Agency (Sida). The views and opinions expressed in this report are those of the authors and may not represent those of EPF, or Sida. Any mistakes or omissions are the responsibility of the author.

ტექსტი მოამზადა: ლიკა სანიკიძე.

სარჩევი

შესავალი	3
თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობა	5
საკანონმდებლო გარემო	5
პრაქტიკა.....	8
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები.....	12
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო რესთავები.....	17
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ბათუმში	19
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში განვითარების აქტორთა ჩართულობის მაგალითი.....	22
დასკვნები	25
ბიბლიოგრაფია.....	27

შესავალი

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობა მნიშვნელოვანია დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული მმართველობის პრაქტიკის დანერგიისთვის. ის საშუალებას აძლევს მოსახლეობას უშუალოდ ჩაერთოს იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მის ყოველდღიურ ცხოვრებას და გარემოს ეხება. ამასთანავე, ის ზრდის მმართველობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას და გამჭირვალობას. საქართველოში, ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება 2015 წლის ივლისში განხორციელდა, როდესაც ადგილობრივი თივითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებებით განისაზღვრა იმ მექანიზმების ჩამონათვალი, რომელთა პრაქტიკაში დანერგვის ვალდებულება ადგილობრივ ხელისუფლებას დაეკისრა.

მიმდინარე ანგარიში მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივ დონეზე მმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კანონით განსაზღვრული მექანიზმების გამოყენების შეფასებას. საკანონმდებლო ცვლილებებიდან მხოლოდ 4 წლის გასვლის შემდეგ რთულია მათი პრაქტიკაში დანერგვის ეფექტურობის და მდგრადობის შეფასება, თუმცა შესაბამისი კვლევების და მონიტორინგის დასკვნები მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოკვეთის შესაძლებლობას იძლევა. ანგარიში გამოკვეთილი შეფასებები, ძირითადად, მეორადი ლიტერატურის კვლევას ეფუძნება. მასში წარმოდგენლია ქართული და საერთაშორისო განვითარების აქტორების მიერ გამოცემული პუბლიკაციები, რომლებიც ქვეყანაში თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეების მონაწილეობას აფასებს. ასევე მიმოხილულია ადგილობრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია. ქალაქების ბათუმის და რუსთავის ქეისებზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით მეორადი ლიტერატურის ანალიზთან ერთად ჩატარდა

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები ადგილობრივი თვითმმართველობის და სამოქალაქო მრჩეველთ საბჭოს წარმომადგენლებთან რუსთავისა და ბათუმში.

ანგარიშის პირველი ნაწილი ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების აღწერას. მასში მიმოხილულია საკანონმდებლო სივრცე და არსებული პრაქტიკა. მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა ჩართულობის მექანიზმიდან ერთ-ერთს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს. არსებული პრაქტიკის აღწერასთან ერთად, ამ ნაწილში წარმოდგენილია ის პოტენციალი და რისკები, რომელიც ამ ინსტიტუტის მუშაობის ეფექტურობასა და მდგრადობასთან არის დაკავშირებული. ქალაქების ბათუმის და რუსთავის მაგალითები სწორედ ამ ნაწილშია აღწერილი. ანგარიშის მესამე თავში მოკლედ აღწერილია ის ინიციატივა, რომელიც მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა განახორციელა ქედისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ინიციატივა მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების უნარების გაძლიერებას და მოქალაქეებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვები.

ანგარიში მომზადდა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დაკვეთით პროექტის: „ორ მუნიციპალიტეტში მრჩეველთ საბჭოს და მოქალაქეების თანამშრომლობის მოდელის შემუშავება და პილოტირება“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოკვეთილი დასკვნები შეიძლება არ ემთხვეოდეს პროექტის განმახორციელებელი და დონორი ორგანიზაციების ხედვებს.

თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობა საკანონმდებლო გარემო

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობა უმნიშვნელოვანესია მმართველობის დემოკრატიული პროცესის უზრუნველყოფისთვის. ის შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს მონაცილეობა მიიღონ იმ პროცესებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. კერძოდ, უშუალოდ ჩაერთონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, გააუდერონ საკუთარი საჭიროებები და მონაცილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უფრო მეტიც, მოსახლეობის მონაცილეობა საჯარო პოლიტიკის სფეროში, კერძოდ მათი ჩართულობა ადგილობრივი პრობლემების წამოწევასა და გადაწყვეტილების გზების ძიებაში – ქმნის ანგარიშვალდებულების, გამჭირვალობის და ეფექტური მართვის გარანტიებს. ის ზრდის მოსახლეობაში საჯარო სფეროს მიმართ ნდობას და აძლიერებს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას. საქართველოში, ამ ხედვაზე თანხმდებიან ექსპერტები, პოლიტიკური პარტიები, სახლემნიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები. თუმცა, სრული კონსენსუსის არსებობის მიუხედავად, ამ კუთხით სასურველი შედეგების მიღწევა ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

საქართველოს მთავრობა აღიარებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეების მონაცილეობის მნიშვნელობას ყველა შესაბამის სტრატეგიულ და საკანონმდებლო დოკუმენტში. სამართლებრივი კუთხით მოსახლეობის ჩართულობის გარანტიების შექმნისკენ მიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება. „ახალი კოდექსის მიღება მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის კომპეტენციების გაფართოებას და პროცედურების განსაზღვრას, რათა წარმატებით განხორციელებულიყო დეცენტრალიზაციის პროცესი“ (ბუაძე, 2017). დღეს დღეობით,

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მმართველობის პროცესში უშუალოდ მონაწილეობის ჩარჩოს განსაზღვრავს. კოდექსის მე-11 თავი¹ მთლიანად ადგილობრივი თვითმმართველობის განცორხიელებაში მოქალაქეთა მონაწილეობას ეთმობა. კოდექსის 85-88-ე მუხლები სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა ფორმებს და მათი პრაქტიკაში განხორციელების გზებს განსაზღვრავს, მათ შორის: დასახლების საერთო კრების მოწვევას, პეტიციის მომზადებას, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნას, მუნიციპალიტეტში საკრებულოს სხდომებზე დასწრებას და მონაწილეობას (ადგილობრივი თვითმმართველობს კოდექსი, 2014). აღსანიშნავია, რომ კოდექსის 85-ე მუხლი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათი საქმიანობის და მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასაც ავალდებულებს, რათა ხელი შეუწყონ მოქალაქების მიერ კანონმდებლობით შექმნილი შესაძლებლობების გამოყენებას (ადგილობრივი თვითმმართველობს კოდექსი, 2014). უფრო მეტიც, კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მექანიზმების გარდა, მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა, დამატებითი ფორმების განსაზღვრის თავისუფლებასაც აძლევს, რომლებიც არ ენინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

საკანონმდებლო ჩარჩოსთან ერთად, მოსახლეობის მონაწილეობის მნიშვნელობა ადგილობრივი დონის საკითხების გადაწყვეტაში აღიარებულია საქართველოს მთავრობის შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებშიც. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული რეგიონული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი, ასევე ცალკეული რეგიონებისთვის მომზადებული განვითარების სტრატეგიები – მიუთითებენ მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობაზე განსაკუთრებით იმ ინიციატივებში, რომლებიც მიმართულია რეგიონის განვითარებისკენ (იხ. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2018; 2013 (1); 2013 (2); 2013 (3); აჭარის მთავრობა, 2016). საინტერესოა, რომ ამ დოკუმენტებში ასევე საზგანმულია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზციების, აკადემიის წარმომადგენლების და საერთაშორისო დონორების როლი და გამოკვეთილია მათი გამოცდილების გაზიარების, რესურსების გაერთიანების და ინტერვენციების კოორდინაციის მნიშვნელობა.

¹ 2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსში შეტანილი ცვილებების რედაქციით (ავტორი).

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის 5 მექანიზმი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, თავი 11

- დასახლების საერთო კრება:** „არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას“ (მუხლი 85⁵). დასახლების საერთო კრება უფლებამოსილია განხილოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები, შენიშვნები წარადგინოს ადგლობრივი ბიუჯეტის პროექტში, შეაფასოს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ქონების პრივატიზაციის საკითხი და მოისმინოს მერის ინიციატივები.
- პეტიცია:** არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩეველთა 1%-ის მიერ მომზადებული წერილობითი მიმართვა, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ინიცირებას ან მოითხოვს ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემის საკრებულოს სხდომაზე განხილვასა და გადაწყვეტას; მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი ვალდებულია პეტიციის მიღებიდან 15 დღის ვადაში განხილოს დოკუმენტის მოთხოვნა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და 10 დღის განმავლობაში აცნობოს ავტორებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (მუხლი 86).
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო:** „არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მენარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები“ (მუხლი 861). საბჭოს უფლებამოსილებაში შედის შემდეგი საკითხების განხილვა და მერისთვის შენიშვნების/რეკომენდაციების გაწევა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ინიციატივები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა: მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მისი კომისიის სხდომები საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს დასწრების უფლება წინასწარი შეტყობინების ან ნებართვის გარეშე. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია ტექნიკურად უზრუნველყოს ყველა მსურველის დასწრება და სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა მისცეს გამოთქვას აზრი და გააკეთოს განცხადებები (მუხლი 87).
5. მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანაგრიშების მოსმენა: მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც ორგანიზება გაუკეთოს საჯარო შეხვედრას, წარადგინოს განეული სამუშაოს ანგარიში და უპასუხოს ადგილობრივი მოსახლეობის კითხვებს (მუხლი 88).

საქართველოში ადგილობრივ დონეზე მმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლების გარანტიებს, ადგილობრივთან ერთად, საერთაშორისო დოკუმენტებიც ქმნიან. 2005 წლიდან საქართველო მიერთებულია 1985 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას, რომელიც ეყრდნობა მრნამსს, რომ „მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის“ (ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, 1985). მასში განსაზღვრულია ის პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ხელმომწერი სახლემწიფოების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სტრუქტურა, ფინანსური უზრუნველყოფა და ზედამხედველობა; თუმცა, თავად ქარტია არ გამოკვეთს მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებს.

პრაქტიკა

საკანონმდებლო დონეზე შექმნილი შესაძლებლობების მიუხედავად, მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში კვლავ მინიმალურია. მოსახლეობა არ აქტიურობს და საკმაოდ თავშეკავებულია იმ საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვაზე, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება. ამაზე მიუთითებს ბოლო პერიოდში ადგილობრივი და საერთაშო-

რისო ორგანიზაციების მიერ რეგიონული და სახელმწიფო მასშტაბით ჩატარებული კვლევების ანალიზი (იხ: ულენტი, 2016; ევროპის საბჭო, 2016; რუსთავის მუნიციპალიტეტი, 2016; ბუაძე, 2017, ლოსაბერიძე და სანიკიძე, 2019).

2017 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, საქართველოში მოსახლეობის ადგილობრივ დონეზე ჩართულობის შეფასების მექანიზმია, რომელიც არსებულ მდგომარეობას მუნიციპალიტეტების დონეზე ასახავს. ინდექსი 64 მუნიციპალიტეტის საქმიანობას 100-მდე კრიტერიუმის გამოყენებით აფასებს, რომლებიც სამ მთავარ ბლოკში ერთიანდება:

1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება;
2. ელექტრონული მმართველობა;
3. მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება².

მესამე ნაწილი ორ ქვებლოკს: მოქალაქეთა მონაწილეობას და ანგარიშვალდებულებას მოიცავს და 19 კრიტერიუმზე დაყრდნობით აფასებს მოქალაქეთა ჩართულობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენებას³. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მხოლოდ 4 ურბანული დასახლების მუნიციპალიტეტში იყენებს მოსახლეობა ჩართულობის მექანიზმების 50%-ზე მეტს⁴. ეს ქალაქებია: რუსთავი, ზუგდიდი, ქუთაისი და ბათუმი. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში, ამ კრიტერიუმის მაჩვენებელი 12%-49% შორის მერყეობს და საშუალოდ 29.3%-ია⁵, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის მასშტაბით, თვითმმართველობის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის შესაძლო მექნიზმების მესამედის გამოყენებაც არ ხდება.

მოსახლეობის მონაწილეობის კუთხით, ცაკლეული მუნიციპალიტეტებში არსებული პრაქტიკის ანალიზი მთლიანად ეხმიანება ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შეფასებას. იმერეთის რეგიონსა და

² <http://www.lsgindex.org/ge/pages/methodology> (ბოლო ნახვა 10 ოქტომბერი, 2019).

³ იქვე.

⁴ შეფასება ვარირებს 0-დან 100%-მდე. 100% – მიუთითებს შესაძლებლობების სრულ გამოყენებას წყარო: <http://www.lsgindex.org/ge>

⁵ წყარო: <http://www.lsgindex.org/ge>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში არსებული პრაქტიკის შეფასების მიზნით, საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველომ მუნიციპალიტეტებიდან გაომითხოვა 2015-2019 წლების შესაბამისი საჯარო ინფორმაცია და დაასკვნა, რომ მართალია სიტუაცია ბოლო 4 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა, მაგრამ კვლავ საჭიროებს მნიშვნელოვან ძალიასხმევას. თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეების „ჩატართველობაზე“⁶ მიუთითებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ ქალაქების ბათუმის, ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კვლევის შედეგებიც:

„ჩატართველობის სტადია ორი კომპონენტისგან შედგება – მანიპულაცია და თერაპია. მანიპულირება და თერაპია არის მოქალაქეებთან ურთიერთობის ფორმები, რომლებიც გამოიყენება არა რეალური უკუკავშირის მისაღებად, არამედ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვეულებრივ საშუალებებად, რომლებიც ანაცვლებს სამოქალაქო ჩართულობას. ინფორმირება და კონსულტაცია მონაწილეობის უფრო სიმბოლური ფორმებია და მხოლოდ მოსაზრებების გაცვლის საშუალებას იძლევა. ამ ფორმების გამოყენების დროს არ არსებობს გარანტია, რომ მოქალაქის უკუკავშირი აისახება პოლიტიკის ცვლილებაში“ (ბუაძე, 2017. გვ. 8-9).

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის სიმნირეს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს 2018 წელს გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებიც (ლოსაბერიძე და სანიკიძე, 2019). გორის მუნიციპალიტეტის სოფლების და ქალაქის მაცხოვრებელთა გამოკითხვით გამოვლინდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის 49% საერთოდ არ არის ინფორმირებული თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. უფრო მეტიც, გამოკითხულთა 45%-მა არ იცის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ (ლოსაბერიძე და სანიკიძე, 2019). ინფორმირებულობასთან ერთად, დაბალია მოქალაქეების თვითმმართველ ორგანოებთან კომუნიკაციის და ურთიერთობის პრაქტიკაც. ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მიმართვის, მის ღონისძიებაში მონაწილეობის ან საჯარო შეხვედრაზე დასწრების გამოცდი-

⁶ შერი რ. არნშტეინის 1969 წლის ნაშრომის: „სამოქალაქო მონაწილეობის კიბის“ მიხედვით.

ლება მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებს აქვს (ლოსაბერიძე და სანიკიძე, 2019). მსგავსი მდგომარეობაა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტშიც. 2016 წლის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებით რესპონდენტთა 97% არასდროს დასწრებია საკურებულოს სხდომას და 72% პირადად არასდროს დაკავშირებია თვითმმართველობის წარმომადგენელს (რუსთავის მუნიციპალიტეტი, 2016).

მსგავსი კვლევები საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერეგვის ტენდენციების გამოკვეთის შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებული მეთოდოლოგიების გამოყენებით ცალკეული მუნიციპალიტეტების ან/და რეგიონების დონეზეა ჩატარებული, ძირითადი მიგნებები მსგავსია. აშკარაა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გამოყენების სიმწირე, თუმცა რთულია თითეული ინსტრუმენტის დანერგვის შესაძლებლობების დარისკების შეფასება, ასევე, გრძელვადიან ჭირლში მათი მდგრადობის განჭვრეტა. არგუმენტირებული დისკუსიის ინიცირებისთვის კი აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი და სილრმისეული კვლევის ჩატარება, რომლის მიზანი იქნება მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვის ძირითადი დაბრკოლებების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში აღტერნატიული ინსტრუმენტების შეთავაზება.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის 5 მექანიზმიდან ერთ-ერთია, რომელიც განერილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში. კოდექსის მე-11 თავი, რომელიც ამ მექანიზმების მუშაობას განსაზღვრავს, 2015 წლის 22 ივნისის შესწორებების შედეგად შევიდა. თავად მრჩეველთა საბჭოს მუშაობას, კოდექსის 861 მუხლი ეთმობა. ამ მუხლის განმარტებით, საბჭო მერთან არსებული სათათბირო ორგანოა, რომელიც ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, ადგილობრივი მნიშვნელობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. თუმცა კოდექსი არ ზღუდავს საბჭოს უფლებამოსილებას მხოლოდ მასში ჩამოთვლილი ვალდებულებებით და უფლებას უტოვებს ყველა მუნიციპალიტეტს თავად განსაზღვროს საბჭოს დამატებითი კომპეტენციები საბჭოს დებულების დოკუმენტში.

კოდექსის 861 მუხლი ასევე განსაზღვრავს საბჭოს ფუნქციონირების ისეთ საკითხებს როგორიცაა სხდომების სიხშირე (არანაკლებ სამ თვეში ერთხელ), წევრების რაოდენობა (არანაკლებ 10) და შემადგენლობა: საბჭოს წევრობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს, ასევე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იურიდიული პირების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მნიშვნელოვანია, რომ კოდექსში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტიც: საბჭო უფლებასმოლებას კარგავს თუ მასში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა შემადგენლობის 1/3 ზე ნაკლებია.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება, მისი მუშაობის განმსაზღვრული მთავარი დოკუმენტია, რომლის შემუშავება მუნიციპალიტეტის დონეზე ხდება და ამტკიცებს მერი. ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის მსგავსი

დოკუმენტები მუნიციპალიტეტის უმრავლესობაში უკვე მიღებულია, თუმცა განსხვავებული ფორმულირებით⁷. დებულებათა ტექსტი 2-დან 7 გვერდებამდე მერყეობს და განსხვავებული დეტალზეც ციით განმარტავს საბჭოს ფუნქციებს, დაკომპლექტების წესს, წევრთა უფლებებსა და ვალდებულებებს, ასევე განსახილველი თემების ჩამონათვალს, გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების წესებს. ყველა დებულებაში ასახულია ორგანული კანონის მოთხოვნები მცირედი გამონაკლისით. მაგალითად, ქალაქ რუსთავის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება⁸ არ განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭოს წევრთა რაოდენობას და არც გენდერული ბალანსის დაცვის ვალდებულებას⁹. ყველაზე დატალური დოკუმენტი ჩხოროწყუსა და ფოთის მუნიციპალიტეტებთან არსებულ მრჩეველთა საბჭოებს აქვთ. ორივე დოკუმენტი დამტკიცებულია 2017 წლის 13 ნოემბერს და თითქმის იდენტურია უმნიშვნელო განსხვავებებით. მათში საბჭოს ნარმომადგენლობითობის და მოსახლეობის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისთვის დამატებითი გარანტიებია შექმნილი. მაგალითად, საბჭოს ძირითად მიზნებად განსაზღვრულია მოსახლეობის ინტერესების ნარმოდგენა, მოსახლეობასა და მერს შორის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა და მერის საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა¹⁰. ასევე, საბჭოს წევრების ნახევარი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებით კომპლექტდება, დანარჩენი კი ადგილობრივად რეგისტრირებული იურიდიული პირების და არასამთავრობო ორგანიზაციების ნარმომადგენლებით. უფრო მეტიც, წევრობის კანადიდატის ნარდგენის უფლება მხოლოდ მოსახლეობას და მუნიციპალიტეტთან კავშირის არქონე იურიდიულ პირებს აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ორგანულ კანონში შესაბამისი ცვლილებები ძალაში 2015 წლის ივლისში შევიდა,

⁷ მიმდინარე ანგარიშში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების დებულებების შეფასება ეყრდნობა იმ დებულებების ანალიზს, რომლებიც ელექტრონულად – მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ გვერდებზეა ხელმისაწვდომი.

⁸ 2017 წლის რედაქციით. პირველი რედაქციით დებულება 2015 წელს იქნა მიღებული. წყარო: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #773, 2017 წლის 8 ივნისი.

⁹ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი: https://rustavi.gov.ge/file_manager/45/09d1bd4aac5a6f7dd89952ead0be11bd.pdf ბოლო შესვლა 15 ოქტომბერი, 2019 წ.

¹⁰ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება <http://chkhorotsku.gov.ge/sites/default/files/danarti.pdf> და <http://poti.gov.ge/uploads/satatbiro.pdf>

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მათი პრაქტიკაში დანერგვა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, საბჭოების საქმიანობა დებულების მიღებას არ გასცდენია და ფორმალურ არსებობას განაგრძობს. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების, მათ შორის მრჩეველთა საბჭოების მუშაობას აფასებდა იმერეთსა და აჭარაში – მდგომარეობა 2016-2017 წლებთან შედარებით უკეთესობისკენ არის შეცვლილი, თუმცა კვლავ საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას:

„მერეთში 12 მუნიციპალიტეტიდან ყველაში დარეგისტრირებულია მრჩეველთა საბჭო. იმურეთის ყველა მუნიციპალიტეტის საბჭოში ვანდერული ბალანსი დაცულია, მაგრამ არცერთ მოქმედ საბჭოში არ არის გათვალისწინებული კანონის მოთხოვნა საბჭოს შეკრების პერიოდულობის შესახებ (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უნდა შეიკრიბოს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ). ვანისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში მრჩეველთა საბჭოები შეიქმნა, მაგრამ საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა, ხოლო ჭიათურასა და ხარაგაულში საკვლეული მონაკეთში მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა. „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო¹¹

საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზი, მიუთითებს რომ მრჩეველთა საბჭოების მუშაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით. შესწავლილ ორივე რეგიონში, ქალაქის ტიპის დასახლებებში მდგომარეობა შედეარებით უკეთესია: ქუთაისასა და ბათუმში მრჩეველთა საბჭოები აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივ თვითმმართველობაშის საქმიანობაში, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევებში სხდომები კანონით გათვალისწინებულ სიხშირეზე ნაკლებად იმართება¹².

¹¹ <https://www.transparency.ge/ge/blog/arasakmarisad-gamoqenebuli-mokalaketa-chartulobis-mekanizmebi-imeretis-municipalitetebshi> ბოლო შესვლა 14 ოქტომბერი, 2019.

¹² საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო: <https://www.transparency.ge/ge/blog/arasakmarisad-gamoqenebuli-mokalaketa-chartulobis-mekanizmebi-imeretis-municipalitetebshi> და [https://transparency.ge/ge/blog/acharis-municipalitetebshi-mokalaketa-chartulobis-mekanizmebis-gamoqenebis-praktika-nacilobrivi/?custom_searched_keyword=%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%94%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90+%E1%83%93%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D](https://transparency.ge/ge/blog/acharis-municipalitetebshi-mokalaketa-chartulobis-mekanizmebis-gamoqenebis-praktika-nacilobrivi/?custom_searched_keyword=%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90+%E1%83%93%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D) ბოლო შესვლა: 14 ოქტომბერი, 2019.

მრჩეველთა საბჭოების საქმიანობაში ორგანული კანონის მოთხოვნების დარღვევა არა მარტო შეხვედრების არასაკმარისი სიხშირით ორგანიზებაში ვლინდება. რამდენიმე მუნიციპალიტეტში გამოაშკარავდა საბჭოს წევრთა დაკომპლექტების წესში გადაცდომები. მაგალითად, ქალაქ თელავის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში 13 წევრიდან 3 მუნიციპალიტეტის თანამშრომელია, უფრო მეტიც საბჭოს თავმჯდომარე – ქალაქის მერია¹³. მსგავსი მდგომარეობაა ახალქალაქშიც: საბჭოს 16 წევრიდან 5 მუნიციპალიტეტის თანამშრომელია და თავმჯდომარე აქაც ქალაქის მერია¹⁴. მსგავსი პრაქტიკა ზღუდავს საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის არეალს და საფრთხეს უქმნის საბჭოს შექმნის მთავარი მიზნის განხორციელებას.

მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავდება მრჩეველთა საბჭოს და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტების მხოლოდ ნაწილი აქვეყნებს საბჭოს მუშაობის შესახებ ინფორმაციას საკუთარ ოფიციალურ ვებ გვერდზე. ქალაქ რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის მუნიციპალიტეტების ვებ გვერდებზე ხელმისაწვდომია საბჭოს დებულებები, წევრთა სია და შეხვედრის ოქმების ასლები. უფრო მეტიც, რუსთავის და ბათუმის მუნიციპალიტეტების მრჩეველთა საბჭოებს ხშირად განახლებადი საკუთარი ფეისბუქ გვერდებიც აქვთ. გარდაბნის¹⁵ და ახალქალაქის¹⁶, მუნიციპალიტეტების ოფიციალურ გვერდებზე კი მხოლოდ წევრთა ვინაობა და დებულებაა გამოქვეყნებული, ხოლო ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე შესაბამის მენიუში ინფორმაცია ცარიელია¹⁷.

აქტიური საბჭოების უმრავლესობისთვის გამოწვევად რჩება წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა. წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება. ხშირია წევრთა მონაცვლეობა შიდა მიგრაციის ან სტატუსის ცვლილების გამო. შესაბამისად რთულია წევრთა ნაწილის საბჭოს სხდომებზე

¹³ თელავის მუნიციპალიტეტი: <http://telavi.gov.ge/ge/samokalako-mrchevelta-sabcho-1> ბოლო შესვლა: 14 აქტომბერი, 2019.

¹⁴ ახალქალაქის მუნიციპალიტეტი <http://akhalkalaki.ge/articles/mrchevelta-sabcho-1807191610> ბოლო შესვლა: 14 აქტომბერი, 2019.

¹⁵ გარდაბნის მუნიციპალიტეტი: <http://gardabani.gov.ge/moqalaqeebisatvis/samo-qalaqo-mrchevelta-sabtcho> 14 აქტომბერი, 2019.

¹⁶ ახალქალაქის მუნიციპალიტეტი <http://akhalkalaki.ge/articles/mrchevelta-sabcho-1807191610> ბოლო შესვლა: 14 აქტომბერი, 2019.

¹⁷ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი <http://zugdidi.gov.ge/ge/samokalako-sabcho> ბოლო შესვლა: 14 აქტომბერი, 2019.

დასწრების უზრუნველყოფა, თუმცა აქტიური წევრები დამატებითი ძალისხმევით ახერხებენ ქვირუმის შეკრებას რათა საბჭო ქმედუნარიანი დარჩეს. საინტერესოა, რომ ქალაქ ბათუმის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება ამ კუთხით დამატებით გარანტიებს ქმნის: საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა წევრობის შეწყვეტის საფუძველს იძლევა¹⁸.

ჩართულობის სხვა მექანიზმების მსგავსად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო საკმაოდ ახალი ინსტიტუტია. კანონში შესაბამისი ცვლილების მიღებიდან მხოლოდ 4 წლის შემდეგ გასაკვირიც არ უნდა იყოს პრაქტიკაში მისი გამოყენების სიმწირე; მით უმეტეს, თუ გავითავლისწინებთ, რომ საკანონმდებლო ცვლილებას წინ არ უსწრებდა შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის საინფორმაციო კამპანია და შესაბამისი უნარების ასამაღლებელი აქტივობები ადგილობრივ მოსახლეობაში. დღემდე მრჩეველთა, საბჭოების ცალკეული, მეტ-ნაკლებად წარმატებული საქმიანობის მიზეზების ანალიზი მიუთითოთებს მუნიციპალიტეტის დონეზე შემდეგი სამი ფაქტორის არსებობას:

- პოლიტიკური წება;
- კარგად განვითრებული სამოქალაქო სექტორი;
- დონორი ორგანიზაციების ჩართულობა.

მუნიციპალიტეტის მერის ღიაობა და მზაობა ხელი შეუწყოს საბჭოს საქმიანობას, მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტის ეფექტური მუშაობისთვის. საბჭო სათათბირო ორგანოა და ადგილობრივი ხელისუფლებისგან მისი შენიშვნების და რეკომენდაციების მიმართ ღიაობა უმნიშვნელოვანესია საბჭოს მთავარი ფუნქციის აღსრულებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ პოლიტიკური წების არსებობა საქმარისი არ არის საბოჭოს ეფექტური მუშაობისთვის. აუცილებელია მისი ისეთი წევრებით დაკომპლექტება, რომლებსაც აქვთ თვითმმართველობის მუშაობის სპეციფიურობის ცოდნა, ასევე მოსახლეობის ინტერესების გატარების და საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის უნარები. მსგავსი შესაძლებლობები რეგიონებში ძირითადად ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებშია აკუმულირებული, შესაბამისად მათი არსებობა და საბჭოს საქმიანობაში ჩართვა, მისი წარმატებული ფუნქციონირების ერთერთი გარანტია. ამ პროცესში, დადებითი

¹⁸ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება <http://batumi.ge/ge/upload/532.pdf> ბოლო შესვლა: 14 აქტომბერი, 2019.

გავლენის მოხდენა შეუძლიათ ასევე განვითრების პროგრამებზე, კერძოდ კი მოქალაქეთა ჩართულობაზე მომუშავე დონორ ორგანიზაციებს. მათ აქვთ შესაბამისი რესურსი ხელი შეუწყობივ ადგილობრივ მოსახლეობაში აუცილებელი ცოდნის დაგროვებას და უნარების გამომუშავებას. უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ საბჭოს საქმიანობის ფასილიტირება და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში მისი ავტორიტეტის გაძლიერება.

ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური ნება და დონორი ორგანიზაციების ჩართულობა მრჩეველთა საბჭოების განვითარების მთავარი გარანტია და, ამავდროულად, მისი ეფექტური ინსტიტუტად ჩამოყალიბების მთავარი რისკიც. მუნიციპალიტეტებში მმართველი პირების და მართვის სტილის ცვლილებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თვითმმართველობასა და საბჭოს შორის თანამშრომლობას. მერის მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო აზრის გათვალისწინების ინტერესის დაკარგვით შესაძლებელია საბჭოს მუშაობა ფიქტიური გახდეს. მსგავსი საფრთხე შეიძლება შეიქმნას დონორ ორგანიზაციებში პრიორიტეტების ცვლილებით. საბჭოს წევრებისთვის მსარდაჭერის შეწყვეტით, თითქმის შეუძლებელი იქნება აუცილებელი რესურსის მობილიზება, რათა შენარჩუნდეს საბჭოს ეფექტური საქმიანობა. შესაბამისად უმნიშვნელოვანესია ადგილობრივ მოსახლეობაში შესაბამისი ცოდნის და უნარების განვითარება, რათა მათ შეძლონ საბჭოს საქმიანობაში აქტიური ჩართვა და პარტიული დაპირისპირებების, ან დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტების ცვლილების შედეგად შექმნილი ვაკუუმის შევსება.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო რუსთავში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო 2015 წლის 21 სექტემბერს შეიქმნა ქალაქის მერის #1552 ბრძანების საფუძველზე. საბჭომ რეალური ფუნქციონირება 2017 წლიდან დაიწყო. მართალია საბჭოს დებულება სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით საკმაოდ ზოგადია, მაგრამ თვითმმართველობის წარმომადგენლის განმარტებით ეს მის მოქნილობას უწყობს ხელს¹⁹. წევრების შერჩევა სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებული მეთოდოლოგიით – პირდაპირი არჩევის წესით განხორციელდა. ადგილობრივი ხელისუფლების ფასილიტირებით, ყველა ტერიტორიული ერთეულში ჩატარდა შესვედრები,

¹⁹ რეგაზ ბარბაქაძე, რუსთავის მერის თანაშემწე, ინტვერიუ, 13 ოქტომბერი, 2019 წ.

რომელსაც საშუალოდ 400-500 ადგილობრივი მოსახლე ესწრებოდა. კანდიდატების არჩევა სწორედ ამ შეხვედრებზე პირდაპირი ხმის მიცემით მოხდა. შედეგად საბჭო ადგილობრივი მოქალაქეებით, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის ნარმომადგენლებით დაკომპლექტდა. ამჟამად მასში 20 წევრია: 2-2 ნარმომადგენელი ქალაქ რუსთავის 10 ტერიტორიული ერთეულიდან. 11 მათგანი ქალია და ერთერთი მათგანი თავმჯდომარეობას უწევს საბჭოს საქმიანობას.

2017 წლიდან დღემდე საბჭო რეგულარულად იკრიბება, ზოგჯერ თვეში 2-ჯერ. 2019 წელს მან მერიას 30-მდე რეკორდნიდაცია წარუდგინა, საიდანაც უმეტესობა, დაახლოებით 2/3 ქალაქის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და პრაქტიკაში დანერგა. საბჭოს საქმიანობა პროაქტიულია, მხოლოდ სათათბირო ფუნქციით არ შემოიფარგლება და უშუალოდ ერთვება სამოქალაქო აქტივობაში. მაგალითად, ქალაქში არსებული დამისამართების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საბჭოს წევრებმა მოამზადეს პროექტი „ბინების დამისამართება ქ. რუსთავში“, „ორბელიანი საქართველოს“ ონალინ პლატფორმის საშუალებით მოიპოვეს საჭირო დაფინანსება და მერიის მხარდაჭერით ახორციელებენ 800-მდე აპრის დამონტაჟებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოს საქმიანობის ეფექტურობა პოლიტიკური ნების არსებობამ და დონორი ორგანიზაციების აქტიურობამ განაპირობა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყო საბჭოს პარტიული დაპირისპირებებისგან დისტანცირება და მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ ღიაობა. ადგილობრივი ხელისუფლების ნარმომადგენლის თქმით, ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელობისთვის საბჭოსთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მაღალი ლეგიტიმაციისა და პასუხისმგებლობის მოსახლეობასთან განაწილებისთვის²⁰. საბჭოს ნარმატებაში დადგებითი როლი ითამაშა ასევე დონორი ორგანიზაციების ჩართულობამ, კერძოდ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულმა პროექტმა: „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“²¹. მოსახლეობასთან შეხვედრები, არჩეული წევრთა უნარების განვითარება და საბჭოს სხდომების ფასილიტაცია სწორედ ამ პროექტის ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყენებით გახდა შესაძლებელი. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა ეფექტურად განხეხორციელებინათ მათზე დაკისრებული ვალდებულებები. პროექტის ფარგლებში კი შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სფეროს (ეკო-

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

ნომიკის, ახალგაზრდული პოლიტიკის, ინფრასტრუქტურის განვითარების ექსპერტების და მენტორების დაქირავება, რომლებიც რეგულარულ კონსულტაციებს უწევდნენ წევრებს როგორც შესაბამისი პოლიტიკის გამოწვევებზე, ისე ტექნიკურ საკითხებზე. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ასავე საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ განეულმა მხარდაჭერამ „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისთვის“ პროექტის ფარგლებში²². მათი დახმარებით მოეწყო საბჭოს გასვლითი შესვედრა და მუშაობის 2 წლიანი გეგმის განერა.

მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ქალაქის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზეა განთავსებული. საბჭოს საკუთარი ფესბუქ გვერდიც აქვს, რომელზეც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია როგორც საბჭოს საქმიანობის, ისე მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული პროექტების შესახებ. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების დონე საბჭოს საქმიანობაზე და მასში ჩართვის მექანიზმებზე კვლავ ძალიან დაბალია²³.

მოსახლეობის ინფორმირების დაბალი დონე არ არის ერთადერთი გამოწვევა, რომლის წინაშეც ქალაქ რუსთავის მრჩეველთა საბჭო დგას. საბჭო ახლადშექმნილი ინსტიტუტია და მისი ეფექტური მუშაობის მდგრადობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას თუნდაც წევრების ცვლილებამ. იმ შემთხვევაში თუ მომავალში ის დაკომპლექტდება იმ ადამიანებით რომელთაც არ ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარები, გაუჭირდებათ მოსახლეობის საჭიროების გამოხატვა, მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი პროექტების ანალიზი და რეკომენდაციების განევა. ადგილობრივ ხელისუფლებაში პოლიტიკური ნების ცვილება მოუსმინოს და გაითვალისწინოს საბჭოს შეთავაზებები კიდევ ერთი გამოწვევაა, რომლის შემთხვევაში ინსტიტუტი შეიძლება უბრალოდ გადაწყვეტილებების ფორმალური ღეგმითმაციის წყაროდ იქცეს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ბათუმში

ბათუმის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო აქტიური 2018 წლის ზაფხულის შემდეგ გახდა, როდესაც მისი ახალი შემადგენლობა დამტკიცდა მერის 11 ივნისის #2250 ბრძანების მიხედვით. ამჟამად საბჭოს 11 წევრი ყავს

²² იქვე.

²³ იქვე.

რომელიც აერთიანებს ადგილობრივი არასამათავრობო ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურის და აკადემიური წრის წარმომადგენლებს. საბჭოს საქმიანობას განსაზღვრავს 2018 წლის დასაწყისში მიღებული დებულება. მასში დეტალურად არის განერილი საბჭოს სტრუქტურა, საქმიანობის მიზნები და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის პრინციპები. აღსანიშნავია დოკუმენტში განერილი წევრთა შერჩევის წესი: ქალაქის მერი ვალდებულა ოფიციალური წერილით მიმართოს ავტონომიური რესპუბლიკის საგაფრო პალატას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სტუდენტურ თვითმმართველობას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს, ასევე განათლების, ჯანდაცვის, კულტურისა და სპორტის სფეროში პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფო სტრუქტურებს შესბამისი ორგანიზაციების გამოვლენის მიზნით, რათა მათ წარადგინონ საბჭოს წევრთა კანდიდატურები. შერჩევის ამ მეთოდის განსაზღვრით, საბჭოში შექმნილია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესთა გაუქორების გარანტიის ტუმცა, საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარის აზრით, ეს არ არის საკმარისი. მისი თქმით ბათუმი მულტიულტურული ქალაქია და აუცილებელია მრჩეველთა საბჭოს მუშაობაში ჩაერთონ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც²⁴.

2018 წლის ივნისიდან მოყოლებული საბჭომ ჩაატარა 16 სხდომა და განიხილა 44 საკითხზე მეტი. მათ შორის თემები, რომლებიც უკავშირდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებს, გამწვანებას, ნარჩენების მართვას, ურბანულ დაგეგმარებას, გარე ვაჭრობას და ა.შ. საბჭო მერიასა და საკრებულოსთან ურთიერთობისთვის ოფიციალურ კორესპონდენციას ანიჭებს უპირატესობას. შესაბამისად ერთი წლის განმავლობაში მან 53 იფიციალური წერილით მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას. თავად მერიიდან საბჭომ 28 ოფიციალური წერილი მიიღო, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელობა ითხოვდა კონკრეტული პროექტების განხილვას და რეკომენდაციების წარდგენას. საბჭო ბათუმის მერიას წევრებს შორის არსებული რესურსის გამოყენებასაც სთავაზობს. საბჭო დაკომპლექტებულია საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს პრაქტიკოსებით და მეცნიერებით, რომელთაც შეუძლიათ საექსპერტო ცოდნის გაზიარება, ასევე პროფესიული ქსელის გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში ფინანსების მოზიდვაში დახმარება. რეგულარული შეთავაზების მიუხედავად, ჯერ-ჯერობით მსგავსი თანამშრომლობა არ შემდგარა.

²⁴ კახაბერ გუჩიმანიძე, ბათუმის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ინტერვიუ, 24 სექტემბერი, 2019 წ.

საინტერესოა, რომ ბათუმში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის წარმატების ფაქტორებია იმიჯზე და საჯაროობაზე ყურადღების გამახვილება. იდენტობის გამოსაკვეთად შეიქმნა საბჭოს ლოგო და ტიტულიანი ქაღალდი. საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაცია 3 დღით ადრე ვრცელდება მერიის ოფიციალურ და საბჭოს ფეისბუქ გვერდებზე. იტვირთება სხდომის დღის წესრიგიც. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს განსახილველი საკითხების ჩამონათვალს და დაესწროს სხდომას. ინფორმაცია ვრცელდება ადგილობრივ მედია ორგანიზაციებშიც და ხშირია სხდომების გაშუქებაც. შედეგად საკმაოდ გაზრდილია საბჭოს და მისი წევრების ცნობადობა ადგილობრივ მოსახლეობაში რამაც ხელი შეუწყო მის „ანგარიშგასაწევ“²⁵ ინსტიტუტად ჩამოყალიბებას.

საინტერესოა, რომ რუსთავის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გამოცდილებისგან განსხვავებით ბათუმში ამ ინსტიტუტის წარმატება ძირითადად ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებაში დაგროვილმა გამოცდილებამ განაპირობა. საბჭოს ის წევრები, რომლებიც აქტიურობენ და უძლვებიან საბჭოს მუშაობას, ადგილობრივ არასამათავრობო ორგანიზაციებში მუშაობის და თვითმმართველობასთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. მათვის უცხო არ არის ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის პრინციპები და ფლობენ საჯარო პირებთან ურთიერთბისთვის საჭირო უნარებს. საჯაროობაზე აქცენტით კი შეძლეს საბჭოს ცნობადობის ამაღლება და მერიის მხრიდან ღიაობის მიღწევა.

²⁵ იქვე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში განვითარების აქტორთა ჩართულობის მაგალითი

2019 წელს მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „ორ მუნიციპალიტეტში მრჩეველთ საბჭოს და მოქალაქეების თანამშრომლობის მოდელის შემუშავება და პილოტირება“. პროექტი მიზნად ისახავდა ქედის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების გაძლიერებას და მოსახლეობის ინფორმირების გაზდას. პროექტი საქართველოს რეგიონებში განვითარების აქტორების ინტერვენციის მაგალითია, რომელმაც შეიძლება დადებითი წვლილი შეიტანოს სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების პრაქტიკაში დაწერგვის პროცესში.

პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე სხვადასხვა აქტორებთან, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობასთან, მრჩეველთა საბჭოს წევრებთან და ხელისუფლების ნარმომადგენლებთან გაიმართა დისკუსიები საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდასთან დაკავშირებით. შეხვედრებზე გამოიკვეთა მიზეზები, რომელებიც სავარაუდოდ ხელს უშლის საბჭოების ეფექტურ მუშაობას. მათ შორის:

- საბჭოს მუშაობის ერთადერთი მოტივაცია – საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება;
- საბჭოს წევრების დაინტერესების და მოტივაციის სიმცირე;
- საბჭოს დებულების ზოგადი ხასიათი და ადგილობრივი საჭიროებების გაუთვალისწინებლობა;
- მერიასა და საბჭოს შორის კომუნიკაციის მექანიზმების არასაკმარისი სიცხადით განერა.

საჯარო შეხვედრებზე დასახელდა არსებული სირთულეების გადაწყვეტის შესაძლო გზებიც. მათ შორის:

- საბჭოს ფუნქციების გაფართოება საკანონმდებლო დონეზე, მათ შორის ადვოკატირების კომპონენტის გაძლიერება;
- საბჭოს დებულებების განერა მუნიციპალიტეტების თავისებურებების გათვალისწინებით;
- საბჭოების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა;
- საბჭოს წევრებისთვის წამახალისებელი მექანიზმების შექმნა.

პროექტის მომდევნო აქტივობები დაეთმო ორივე მუნიციპალიტეტში მრჩეველთა საბჭოების გაძლიერებას. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ფასილიტირებით გაიმართა კონსულტაციები ადგილობრივი ხელისუფლების და მრჩეველთა საბჭოების წარმომადგენლებთან და მომზადდა საბჭოების დებულებებში შესატანი ცვლილებები. მაგალითად, შემცირდა ბოლნისის მრჩეველთა საბჭოს წევრთა რაოდენობა რომელიც ცვლილებებამდე 34 იყო და ზღუდვადა საბჭოს ქმედუნარიანობას, მათ შორის გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ქედის მუნიციპალიტეტში კი პირიქით – 10-დან 14-მდე გაიზარდა წევრთა რაოდენობა, შედეგად საბჭოს საქმიანობაში შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული ერთეულებიდან დასახელებულ კანდიდატებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართვაც²⁶.

პროექტის ფარგლებში ახლადჩამოყალიბებული საბჭოების წვრებს ჩაუტარდათ ტრენინგების ციკლი შესაბამისი ცოდნის მისაღებად და უნარების გამოსამუშავებლად. პირველ ეტაპზე სემინარებზე განხილული იყო მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები და ქართული კანონდებლობით განსაზღვრულ მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოსახლეობის მონაწილეობის პრინციპების და მნიშვნელობის განხილვას. ტრენინგების მეორე ციკლი უშუალოდ უნარების განვითარებას დაეთმო. საბჭოს წევრებმა შეისწავლეს/დახვეწეს პროექტის წერის უნარები. ტრენინგების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრეტიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მხარდაჭერით, ქედის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მოამზადეს საპროექტო განაცხადი, რომელიც მიზნად

²⁶ ქედის მუნიციპალიტეტი http://keda.ge/ge/media-centre/meris-satatiro-organo-samoqalaqo-mrchevelta-sabcho-gafartovda/1114?fbclid=IwAR0EhK_ySI9pAAmVTACKDNstUbws5T8rnp2rXYnd3-rSSoOcASPHiQGT4xU ბოლო შესვლა 15 ოქტომბერი, 2019 წ.

ისახავს ადგილობრივ მაცხოვრებლებში მრჩეველთა საბჭოს წევრების და საქმიანობის პოპულარიზაციას. შესაძლო დაფინანსების მოპოვების მიზნით, პროექტი წარედგინა ფონდ ლია საზოგადოება საქართველოს. პროექტი დაფინანსდა და ხორციელდება. ბოლნისის მერთნ არსებულმა სამოქალაქო საბჭომ პროექტის სახით მოამზადა ორი წინადაღება და წარუდგინა მერს. მიმდინარეობს მუშაობა საპროექტო წინადაღებაზე, რომელიც წარედგინება დღონორ ორგანიზაციებს. ასევე შიქმნა ფეისბუკ გვერდი. ინფორმაცია საბჭოს მუშაობის შესახებ ორივე შემთხვევაში აიტვირთა მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებგვერდებზე. ბოლნისის მრჩეველთა საბჭომ ხშირი კომუნიკაციისთვის შექმნა დახურული ფეი-ბუკ გვერდი, რომელზეც მიმდინარეობს განხილვები მიმდინარე გამოწვევებზე, შეხვედრების მოწყობის განრიგზე და საჭიროებაზე, სხდომაზე განსახილველ საკითხებზე.

პროექტის აქტივობების წარმატებული განხორციელება და მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდა განმახორციელებელი ორგანიზაციის მიღ-გომით, რომელიც ითვალისწინებდა პროექტის შესახებ ადგილობრივი აქტორების ინფორმირებას და შესაბამის აქტივობებში ჩართულობის ფასილიტაციას. პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში რეგუ-ლარული კომუნიკაცია შენარჩუნებული იყო ბენეფიციარი მუნიციპალი-ტეტების ხელმძღვანელობასთან, საბჭოს წევრებთან და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ადგილობრივ აქ-ტორებს შორის შეთანხმების მიზნით, კავკასიური ინსტიტუტი ფასილიტირებას უზევდა საერთო შეხვედრებს და მოლაპარაკებებს, ხელს უწყობდა ნდობის ზრდას და თანამშრომლობის პრაქტიკის დანერგვას. უფრო მეტიც, გუნდის ექსპერტიზის ფარგლებში ბენეფიციარებს უზევდა კონსულტაციებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, რაც ხშირად ცდებოდა პროექტის ჩარჩოს.

დასკვნები

საქართველოში განვითარების ყველა აქტორი, სახელმწიფო და არა-სახელმწიფო ინსტიტუტები თანხმდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის აუცილებლობაზე. მუნიციპალიტეტების დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა მნიშვნელოვანია არა მარტო დემოკრატიული მმართველობის პრაქტიკის დასანერგად, არამედ მისი ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის. ამ თემაზე არსებული კონსენსუსის მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ მნირია მოსახლეობის თვითმმართველობის განხროციელებაში მონაწილეობის დონე.

ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები ეყრდნობა მეორადი ლიტერატურის და მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზს. მასში ასახულია ბოლო 4 წლის განმავლობაში ქვეყნის და ცალკეული თვითმმართველი ერთეულების მასშტაბით განვითრების აქტორების მიერ განხორციელებული მონიტორინგის და კვლევების შედეგები. მიმოხილულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტები და ბრძანებულებები. მეორადი ლიტერატურის ანალიზით შესაძლებელია სფეროში მიმდინარე ტენდენციების გამოკვეთა, თუმცა რთულია მოქალაქეთა ჩართულობის კანონმდებლობით განსაზღვრული მექანიზმების ეფექტურობის ანალიზი და მდგრადობის შეფასება. შესაბამისად აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით სიღრმისეული კვლევის ჩატარება, რომლის მიზანიც ამ მექანიზმებთან დაკავშირებული შესაძლებლობების და რისკების გამოვლენა იქნება.

მნირია 2015 წლის ივლისში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებებით განსაზღვრული მოქალაქეთა ჩართულობის 5 მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების მაგალითებიც. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობების

მესამედზე ნაკლებს იყენებს. მოქალაქეების მხოლოდ მცირე ნაწილის აქვს კომუნიკაციის და თანამშრომლობის გამოცდილება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. უფრო მეტიც დაბალია მათი ინფორმირებულობის დონე თვითმმართველობის პორცესში ჩართვის მექანიზმების და ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ცალკეული გამონაკლისების გარდა, მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობა ფიქტიურია. მათი საქმიანობა წარმატებულია იმ მუნიციპალიტეტებში სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას გამოხატული აქვს შესაბამისი პოლიტიკური ნება, კარგად განვითარებულია სამოქალაქო სექტორი ან/და დონორი ორგანიზაციები ახორციელებენ მოქალაქეოთა ჩართულობის მექანიზმების გაძლიერების პროექტებს. სამოქალაქო საბჭოების, როგორც თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმის მდგრადობის უზრუნველყოფის გამოწვევებად რჩება ადგილობრივ მოსახლეობაში მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სხვადასხვა ინტერეს ჯგუფების ჩართვა (ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები) და არსებული/პოტენციური წევრების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვა.

ბიბლიოგრაფია

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, 1985. ევრო-პის საბჭო. სტრასბური <https://rm.coe.int/168007a088>
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014. 2019 წლის 18 სექტემბრის რედაქცია; საქართველოს პარლამენტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=43>
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, 2016. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. ბათუმი <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/acdb5711834a4d0e86f1f4f04e46.pdf>
4. ბუაძე, ს, 2017. მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასებაქალაქ ბათმის, ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტებში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. თბილისი.
5. ევროპის საბჭო, 2016. საქართველოს სამოქმედო გეგმა 2016-2019. ევროპის საბჭო <https://rm.coe.int/1680642886>
6. ლოსაბერიძე, დ. სანიკიძე, ლ. 2019. ადგილობრივი სერვისები გორის მუნიციპალიტეტში. პრაქტიკა, დამოკიდებულება და განწყობები. გორის საინფორმაციო ცენტრი. გორი, 2019 <http://gic.org.ge/wp-content/uploads/2019/08/adgilobrivi-servisebi-gori-GEO-ep.pdf>
7. რუსთავის მუნიციპალიტეტი, 2016. რუსთავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვა. https://rustavi.gov.ge/file_manager/44/b07d9d0a665cf06a6e2e368bdb4bbea9.pdf
8. ულენტი, მ. 2016. დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი მმართველობა საქართველოში, საჭიროებათა ანალიზი. პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის. <https://rm.coe.int/needs-analysis-on-decentralisation-and-local-government-in-georgia-pre/168078af7c>
9. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო, 2018. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა. თბილისი http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/2018-2021_clebis_sakartvelos_regionuli_ganvitarebis_programa_0.pdf

10. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო, 2013 (1). ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის. თბილისი http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/kvemo_kartlis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf
11. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო, 2013 (1). შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის. თბილისი http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/shida_kartlis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf
12. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო, 2013 (1). სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის. თბილისი http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/samcxe-javaxetis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf